

TBILISI
INTERNATIONAL
FESTIVAL
OF THEATRE

Georgian Showcase

ქართული სპექტაკლების პროგრამა

2013

თბილისის
საერთაშორისო
თეატრალური
ფესტივალი

www.tbilisiinternational.com

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

ქართული პროგრამის შესახებ

ფესტივალის ქართული პროგრამა ქართული თანამედროვე თეატრის პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა.

2009 წლიდან დღემდე ფესტივალი საქართველოს ყველა პროფესიულ თეატრს მასპინძლობს. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო და დამოუკიდებელ თეატრებს, პროექტებსა და დამოუკიდებელ ჯგუფებს საშუალება ეძლევა საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანოს საკუთარი პროდუქცია, პროექტები და იდეები; საერთაშორისო პრესისა და პროფესიონალების ყურადღების ცენტრში მოექცეს; ქართული სპექტაკლების პროგრამა განვლილი სეზონის ერთგვარი "რეზიუმეა", დასკვნა - ხოლო მაყურებლისა და კრიტიკოსებისათვის - საუკეთესო საშუალება სრულად განიხილონ უახლესი თეატრალური პროცესები.

2013 წელს ქართული სპექტაკლების პროგრამას კვლავ ბევრი სტუმარი ჰყავს. იმედს გამოვთქვამთ, რომ უცხოელი კრიტიკოსების, ფესტივალისა და თეატრების წარმომადგენლების სტუმრობა სასარგებლო და საქმიანი აღმოჩნდება ქართული თეატრისათვის.

ვუსურვებთ წარმატებას მონაწილეებს და სტუმრებს!

About GEORGIAN SHOWCASE

The Georgian ShowCase takes place from 5-8 October, as part of the Tbilisi International Festival of Theatre.

With its fifth edition, the annual GEORGIAN SHOWCASE PROGRAM continues to provide the best opportunity for Georgian theatre companies to introduce their work to international promoters. At the same time, the ShowCase opens opportunities for international touring, enables other countries to experience the excellent work that is being produced here and giving shows a life beyond their home.

Since the first Showcase in 2009, the project has given number of theatres the opportunity to tour internationally, building new relationships and opening up new cooperation possibilities. Many European, American and Asian theater critics, producers, festival managers and theater directors visit the ShowCase from its first days. The growing interest towards Georgian ShowCase is due to high quality of the program - very deep, interesting, challenging and diverse Georgian Theatre of today. The program this year is comprised of new work (2012-2013) that represents the very best of Georgian theatre, reflecting the vitality, innovation and diversity of contemporary Georgian theatre.

The Georgian ShowCase this year is organized in collaboration with AICT Georgian Section.

So and In brief:

The Georgian ShowCase program creates opportunity to experience best Georgian performances of 2012-2013 of well-known stage directors alongside with new and bright generation of young and talented theater makers;

ShowCase creates a unique meeting platform for international theatre and festival managers, performers, writers; directors and theater critics;

Modern International and Georgian Drama, world classics, state and independent theaters - the best performances of this year will be new discoveries in your festival future programs

Modern Georgian drama will be also in focus – new writing of young and established Georgian play writers

Unique evenings with Georgian music and wine will add flavor to post show-talks and meetings with artists;

What is also important - is possibilities of co-productions with Tbilisi International Festival of Theatre - the project will be launched this year for the first time.

So, welcome!

Georgian ShowCase Program 2013

Georgian ShowCase Program 2013 is organized by Tbilisi International Festival of Theatre in collaboration with Georgian Section of International Association of Theater Critics.

There are 35 new performances in the program from all over Georgia.

Almost all productions of 2012-2013 theater season - from capital – Tbilisi- and several other cities from east and west Georgia: Telavi, Zugdidi, Batumi, Akhaltsikhe , Gori and etc.

The critics of AICT GEORGIAN SECTION have made several recommendations for performances out of the full list .

The Festival introduces the full program together with the short list of highlighted performances.


განსაკუთრებული მადლობა JTI - ს
მხარდაჭერისათვის

Special thanks to JTI for
Generous Support

ფესტივალის ინიციატორი და მასპინძელი
Tbilisi International Festival of Theatre
is Initiated and Hosted by



ფესტივალის მხარდამჭერი
Festival Supporter



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

გენერალური პარტნიორი
Primary Partner



საქართველოს ბანკი

SOLO

იჩიქენი მომავალი

ოქროს პარტნიორი
Gold Partner



ინიციატორები, მასპინძლები, პარტნიორები და მეგობრები
- ყველა იმსახურებს ჩვენს გულითად მადლობას.
მათ გარეშე ფესტივალი ვერ შედგებოდა...

Founders, partners and festival friends – all deserve OUR
GREATEST THANKS!

Without their support the FESTIVAL would not have been
possible!

ჩვენს გვერდით დაარსების დღიდან / With us from the beginning



ოფიციალური მასპინძელი / Festival Official Host Hotel



პროექტის პარტნიორი / Project partner



ფესტივალის მასპინძელი / The Festival is hosted by



Beaumonde Garden

პარტნიორი / Partner



საინფორმაციო მხარდაჭერა / Media Support



ფესტივალის კლუბი / Festival Club



buddha-bar™
TBILISI

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
 ქართული სპექტაკლების პროგრამა
 2013
 5-8 ოქტომბერი

5 ოქტომბერი, შაბათი

თეატრი	დრო	სპექტაკლი	სპექტაკლის ხანგრძლივობა	
თითების თეატრი (მარჯანიშვილის თეატრი, სხვენი)	13:00	კედელი	50 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
მუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (მარჯანიშვილის თეატრი, დიდი სცენა)	15:00	ხორუმი ქართული ცეკვაა	120 წუთი ერთი შესვენებით	<input type="checkbox"/>
ილიაუნის თეატრი	18:00	ევრიდიკე	140 წუთი ერთი შესვენებით	<input type="checkbox"/>
ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო თეატრი (დიდი სცენა)	18:00	ჭეჟა-ჭეხილი	120 წუთი; ერთი შესვენებით	<input type="checkbox"/>
ვაჟა ფშაველას სახელობის თელავის დრამატული თეატრი (რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა)	19:00	მგზნებარე შეყვარებული	75 წუთი; შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
ახმეტელის თეატრი	19:00	მაგის საოცრებანი	110 წუთი; ერთი შესვენებით	<input type="checkbox"/>
ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრი (მარჯანიშვილის თეატრი, სხვენი)	19:00	Holand, Holand	75 წუთი; შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ახალი სცენა)	20:00	ნავიგატორი	პრემიერა	<input type="checkbox"/>
რკინის თეატრი-ანდლეუაძის არენა	22:00	ფერმა	პრემიერა	<input type="checkbox"/>

TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE
SHOW-CASE PROGRAM
2013
5-8 OCTOBER

OCTOBER 5, SATURDAY

Theatre	Venue	Time	Performance	Duration	
FINGERS THEATRE	KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (SMALL STAGE)	13:00	The Wall	50 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
SHALVA DADIANI STATE DRAMA THEATRE, ZUGDIDI	KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (BIG STAGE)	15:00	KHORUM IS GEORGIAN DANCE	120 minutes With One Intermission	<input type="checkbox"/>
ILIAUNI THEATRE	ILIAUNI THEATRE	18:00	EURYDICE	140 minutes With One Intermission	<input type="checkbox"/>
ALEXANDER GRIBOEDOV STATE RUSSIAN THEATRE	ALEXANDER GRIBOEDOV STATE RUSSIAN THEATRE	18:00	THE STORM	120 minutes With One Intermission	<input type="checkbox"/>
TELAVI VAZHA-PSHAVELA DRAMA THEATRE	RUSTAVELI THEATRE (EXPERIMENTAL STAGE)	19:00	THE ODD COUPLE	75 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
SANDRO AKHMETELI DRAMA THEATRE	SANDRO AKHMETELI DRAMA THEATRE	19:00	WONDERS OF MAGIC	110 minutes With One Intermission	<input type="checkbox"/>
VALERIAN GUNIA STATE DRAMA THEATRE, POTI	KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (SMALL STAGE)	19:00	HOLLAND, HOLLAND	75 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE	KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (NEW STAGE)	20:00	NAVIGATOR	SHOWCASE PREMIERE!	<input type="checkbox"/>
THEATRE "ANDGULADZE'S ARENA"	THEATRE "ANDGULADZE'S ARENA"	22:00	FARM	SHOWCASE PREMIERE!	<input type="checkbox"/>

6 ოქტომბერი, კვირა

თეატრი	დრო	სპექტაკლი	სპექტაკლის ხანგრძლივობა	
საოპერო თოჯინური თეატრი „პნკალა“ (მარჯანიშვილის თეატრი, სხვენი)	12:00	სველიელის დალაქი	50 წუთი; შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
ივანე მაჩაბელის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრი (ეროვნული მუსიკალური ცენტრი)	13:00	მატარებელი	100 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
სამეფო უბნის თეატრი	18:00	კატცელმახერი	90 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
დამოუკიდებელი პროექტი (მარჯანიშვილის თეატრი, სხვენი)	18:00	მუუ...	70 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
თავისუფალი თეატრი	19:00	ვალსი ძილის წინ	150 წუთი ერთი შესვენებით	<input type="checkbox"/>
პანტომიმის თეატრი	19:00	დონ ჟუანი	35 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ეფსპერიმენტული სცენა)	19:00	პირველი სიყვარული	75 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
ახმეტელის თეატრი	19:00	გასროლა	205 წუთი ერთი შესვენებით	<input type="checkbox"/>
ვოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, (დიდი სცენა)	20:00	გრონკოლმის მეთოდი	130 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>

OCTOBER 6, SUNDAY

Theatre	Venue	Time	Performance	Duration	
PUPPET OPERA THEATRE "MTSIRE PTKALA"	KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (SMALL STAGE)	12:00	BARBER OF SEVILLE	40 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
TSKHINVALI STATE DRAMA THEATRE AFTER IVANE MACHABELI	NATIONAL MUSIC CENTRE	13:00	TRAIN	100 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
ROYAL DISTRICT THEATRE	ROYAL DISTRICT THEATRE	18:00	KATZELMACHER	90 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
NONGOVERNMENTAL UNION "PUPPETEERS CLUB"	KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (SMALL STAGE)	18:00	MUU...	70 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
LIBERTY THEATRE	LIBERTY THEATRE	19:00	BEDTIME WALTZ	150 minutes With One Intermission	<input type="checkbox"/>
PANTOMIME STATE THEATRE	PANTOMIME STATE THEATRE	19:00	DON JUAN	35 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
SHOTA RUSTAVELI STATE DRAMA THEATRE	SHOTA RUSTAVELI STATE DRAMA THEATRE (EXPERIMENTAL STAGE)	19:00	FIRST LOVE	75 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
SANDRO AKHMETELI DRAMA THEATRE	SANDRO AKHMETELI DRAMA THEATRE	19:00	THE SHOT	205 minutes With One Intermission	<input type="checkbox"/>
KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE	KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (BIG STAGE)	20:00	THE GRONHOLM METHOD	130 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>

7 ოქტომბერი, ორშაბათი

თეატრი	დრო	სპექტაკლი	სპექტაკლის ხანგრძლივობა	
კონსტანტინე გამსახურდიას სოხუმის სახელმწიფო თეატრი (მარჯანიშვილის თეატრი, სხენი)	13:00	კინკასის უკანასკნელი გამოცხადება	135 წუთი ერთი შესვენებით	<input type="checkbox"/>
თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი	15:00	საგალობელი 1 ST FLASH საიდუმლო ბალი (სამი ერთაქტიანი ბალეტი)	80 წუთი ორი შესვენებით	<input type="checkbox"/>
აკაკი წერეთელის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრი (გრიბოედოვის თეატრი, მცირე სცენა)	17:00	Finita la Comedia	75 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
ალექსანდრე წუნუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი (ანშეტელის თეატრი, დიდი სცენა)	19:00	მეფე ლირი თავშესაფარში	90 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
დამოუკიდებელი პროექტი (თავისუფალი თეატრი)	19:00	სათამაშო პისტოლეტი	75 წუთი; შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, დიდი სცენა	19:45	ფსიქოზი 4:48	60 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ახალი სცენა)	19:00	ტარტიუფი	140 წუთი ერთი შესვენებით	<input type="checkbox"/>
სამეფო უბნის თეატრი	22:00	ტროელი ქალები	85 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>

OCTOBER 7, MONDAY

Theatre	Venue	Time	Performance	Duration	
KONSTANTINE GAMSAKHURDIA STATE DRAMA THEATRE, SOKHUMI	KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (SMALL STAGE)	13:00	THE TWO DEATHS OF QUINCASE WATERYELL	135 minutes With One Intermission	<input type="checkbox"/>
ZAKARIA PALIASHVILI OPERA AND BALLET STATE THEATRE	ALEXANDER GRIBOEDOV STATE RUSSIAN THEATRE (Big Stage)	15:00	SAGALOBELI 1 ST FASH THE SECRET GARDEN	80 minutes With Two Intermission	<input type="checkbox"/>
AKAKI TSERETELI STATE DRAMA THEATRE OF CHIATURA	ALEXANDER GRIBOEDOV STATE RUSSIAN THEATRE	17:00	FINITA LA COMEDIA	75 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
ALEXANDRE TSUTSUNAVA STATE DRAMA THEATRE, OZURGETI	SANDRO AKHMETELI DRAMA THEATRE	19:00	KING LEAR IN THE SHELTER	90 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
INDEPENDENT PROJECT	LIBERTY THEATRE	19:00	THE TOY GUN	75 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
SHOTA RUSTAVELI STATE DRAMA THEATRE	SHOTA RUSTAVELI STATE DRAMA THEATRE (BIG STAGE)	19:45	PSYCHOSIS 4:48	60 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE	KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (NEW STAGE)	19:00	TARTUFFE	140 minutes With One Intermission	<input type="checkbox"/>
ROYAL DISTRICT THEATRE	ROYAL DISTRICT THEATRE	22:00	WOMEN OF TROY	85 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>

8 ოქტომბერი, სამშაბათი

თეატრი	დრო	სპექტაკლი	სპექტაკლის ხანგრძლივობა	
კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი	12:00	გამ2ა	60 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრი (მცირე სცენა)	13:00	შმის სხივი	40 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრი (დიდი სცენა)	14:00	ზამთრის ზღაპარი	პრემიერა	<input type="checkbox"/>
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სხვენი	15:00	სილაშამის დედოფალი	110 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
გიორგი ერისთავის სახელობის გორისსახელმწიფო თეატრი (მარჯანიშვილის თეატრის ახალი სცენა)	18:00	საქსოფონი	50 წუთი შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
შესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი (მარჯანიშვილის თეატრი, დიდი სცენა)	18:00	ყვარყვარე	120 წუთი ერთი შესვენებით	<input type="checkbox"/>
ილიას უნივერსიტეტის თეატრი	18:00	4:48 Psychosis	60 წუთი; შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
თეატრი - ფაბრიკა	20:00	მარია კალასი. გაკვეთილი	75 წუთი; შესვენების გარეშე	<input type="checkbox"/>
თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი	22:00	შუა ზაფხულის ღამის სიმზარი	110 წუთი; ერთი შესვენებით	<input type="checkbox"/>

OCTOBER 8, TUESDAY

Theatre	Venue	Time	Performance	Duration	
KAKHA BAKURADZE'S MOVEMENT THEATRE	KAKHA BAKURADZE'S MOVEMENT THEATRE	12:00	GAMMA	60 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
NODAR DUMBADZE TBILISI STATE CENTRAL CHILDREN THEATRE (Small Stage)	NODAR DUMBADZE TBILISI STATE CENTRAL CHILDREN THEATRE	13:00	SUN BEAM	40 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
NODAR DUMBADZE TBILISI STATE CENTRAL CHILDREN THEATRE (Big Stage)	NODAR DUMBADZE TBILISI STATE CENTRAL CHILDREN THEATRE	14:00	THE WINTER'S TALE	SHOWCASE PREMIERE! 130 minutes With One Intermission	<input type="checkbox"/>
KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE	KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (SMALL STAGE)	15:00	BEAUTY QUEEN	110 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
GIORGI ERISTAVI STATE DRAMA THEATRE, GORI (New Stage)	KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (SMALL STAGE)	18:00	SAXOPHONE	50 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
MESKHETI STATE DRAMA THEATRE, AKHALTSIKHE	KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE (SMALL STAGE)	18:00	KVARKVARE	120 minutes With One Intermission	<input type="checkbox"/>
ILIA STATE UNIVERSITY THEATRE	ILIA STATE UNIVERSITY THEATRE	18:00	PSYCHOSIS 4:48	60 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
THEATRE "THE FACTORY"	THEATRE "THE FACTORY"	20:00	MARIA CALLAS, MASTER CLASS	75 minutes Without Intermission	<input type="checkbox"/>
TBILISI VASO ABASHIDZE MUSIC AND DRAMA STATE THEATRE	TBILISI VASO ABASHIDZE MUSIC AND DRAMA STATE THEATRE	22:00	A MIDSUMMER NIGHT'S DREAM	110 minutes With One Intermission	<input type="checkbox"/>

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი

თეატრის შესახებ:

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს 160 წლის ისტორია აქვს. კავკასიაში პირველი საოპერო თეატრი 1851 წლის 12 აპრილს გაიხსნა. ახალგაზსნილი ოპერის თეატრის მეორე სეზონზე პეტერბურგიდან საბალეტო დასი მოიწვიეს, რომლებმაც ტალიონის ბალეტ „სილფიდას“ მეორე მოქმედება და „პოლკა-ვენგერკა“ წარმოადგინა. ეს გახლდათ პირველი საბალეტო წარმოდგენა თბილისში. პირველი მთლიანი საბალეტო სპექტაკლი კი მანოხინმა 1854 წლის იანვარში დადგა ტალიონის სამმოქმედებიანი ბალეტი „გიტანა - ესპანელი ბოზა“. XIX ს-ის 80-90-იან წლებში. თბილისში სპექტაკლებს მართავდა პეტერბურგის საიმპერატორო საბალეტო თეატრი, რომლის დასში ცეკვავენ სოფია ფოდოროვა, აისედორა დუნკანი, ვერა და მიხეილ ფოკინები. მიხეილ ფოკინი თბილისში თავის პირველ ნოვატორულ ბალეტებს დგამდა, რომლებმაც შემდეგ პარიზში, დიაგილევის „რუსულ სეზონებზე“ აღიარება მოუტანა.

თბილისში შედგა იტალიელი მოცეკვავის, ენრიკო ჩეკეტის მოსწავლის - მარია პერინის საზღვარგარეთული დებიუტი. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული საბალეტო სკოლის დაარსება. თბილისში მან გახსნა კლასიკური ცეკვების პირველი ქორეოგრაფიული სტუდია. მ. პერინი საქართველოში 48 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. იტალიაში დაბრუნებამდე, 1936 წელს, იგი დაესწრო თავისი აღზრდილის, ლეგენდარული ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ შექმნილი პირველი ქართული ბალეტის - „მზეჭაბუკი“ (შემდეგში „მთების გული“) პრემიერას და დარწმუნდა, რომ უკვალოდ არ ჩაუვლია მის შრომას.

თეატრის მმართველი: გიორგი ჟორდანია
თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი საბალეტო დასის
სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი
საკონტაქტო პირი: მარიამ ერისთავი
ტელ: +995 577 14 00 03
ელ-ფოსტა: mariameristavi@hotmail.com
www.opera.ge

Zakaria Paliashvili Opera and Ballet State Theatre

About:

State Ballet of Georgia (Tbilisi Opera and Ballet State Theatre Ballet Company) In 1851, for the second season of the newly opened Tbilisi theatre, a newly arrived ballet company from St. Petersburg presented II act of La Sylphide by Taglioni, and Polka-Vengerka. This was the first ballet performance in Tbilisi.

Tbilisi Opera Theatre was the venue of the foreign debut of Maria Perini, pupil of the Italian dancer Enrico Cecchetti. That first ballet was Andria Balanchivadze's Mzechabuki (Heart of the Mountains in the following performances), staged by Chabukiani at the Tbilisi Opera and Ballet Theatre.

In 2004, Nina Ananiashvili became the artistic director of the State Ballet of Georgia. Forty ballet productions and miniatures were staged in eight seasons. The company's repertory now features works by G. Balanchine, A. Bournonville, F. Ashton as well as of contemporary choreographers like J. Kylián, A. Ratmansky, T. McIntyre, Y. Possokhov. The company tours successfully the United States, Japan, Italy, Estonia, Ukraine, Taiwan, Belarus, Egypt, Azerbaijan and other countries.

General Manager: Girogi Jordania

Artistic Director of Zakaria Paliashvili Opera and Ballet State Theatre's Ballet company - Nino Ananiashvili

Contact person :

Mariam Eristavi (+995) 577 14 00 03

Email: mariameristavi@hotmail.com

www.opera.ge



საგალობელი

ერთმოქმედებიანი ბალეტი ქართულ მელოდიებზე

ქორეოგრაფი - იური პოსოხოვი
იოსებ კეჭაკმაძის, არჩილ კერესელიძის, რევაზ ლალიძის,
გიორგი ცაბაძის, მერაბ მერაბიშვილის მუსიკაზე. მუსიკოს-
შემსრულებელთა ჯგუფი "ჩანგი"

(ხელმძღვანელი უჩა პატარიძე)

კოსტიუმების მხატვარი - ანა კალატოზიშვილი

ხანგრძლივობა: 30 წუთი

Sagalobeli

Ballet in One Act on Georgian Folk Melodies

Music by Ioseb Kechakmadze, Revaz Lagidze, Giorgi Tsabadze
and Merab Merabishvili.

Choreographer Yuri Possokhov

Folk music instrumental group "Changi"

(Musical Manager – Ucha Pataridze)

Costumes - Anna Kalatozishvili

Duration: 30 Minutes

სპექტაკლის შესახებ:

ერთმოქმედებიანი ბალეტი - “საგალობელი” ცნობილმა ქორეოგრაფმა იური პოსოხოვმა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასისათვის დადგა. ქართულ მუსიკალურ მოტივებზე ბალეტის შექმნის იდეა ქორეოგრაფს ნინო ანანიაშვილმა შესთავაზა. მისი სურვილი იყო ისეთი ქორეოგრაფიული სურათის შექმნა, სადაც შენარჩუნებული იქნებოდა ქართული სული, მაგრამ არა ნაციონალური, არამედ თანამედროვე კლასიკური ცეკვის ენაზე. ქორეოგრაფის მიერ დადგმული ცეკვები, რომლის მუსიკალური პარტიტურა ქართულ ხალხურ მელოდიებზე შექმნილი კომპოზიციებისაგან შედგება, ხალხური საკრავების თანხლებით (ჯგუფი “ჩანგი”) სრულდება.

About Performance:

One-act ballet without a plot – “Sagalobeli” (Canticle) was created by the well-known contemporary choreographer Yuri Possokhov for the Ballet Company of the Tbilisi Opera and Ballet State Theatre. The work was based on the Georgian Folk Music, performed by the “Changi” group (“Changi” is a Georgian string instrument). The choreographer tried to express the impressions, made on him in Georgia, with the plastic arts. Several soloists and corps de ballet members are performing the dances, where plastic art elements of Georgian folk dance can be seen. This has become the organic part of the contemporary approach.



1 st flash

ერთმოქმედებიანი ბალეტი

მუსიკა - იან სიბელიუსი, სავიოლინო კონცერტი რე მინორი
(ნაწილი II და III)

დამდგმელი ქორეოგრაფი - იორმა ელო

დამდგმელი ბალეტმაისტერი - კრისტოფ დოცი

სცენოგრაფი - იორმა ელო

კოსტიუმები ჯოუკ ვისერის და იორმა ელო

განათება ჯორდან ტუინმანის

პრემიერა გაიმართა 2013 წლის 29 ივნისს

ხანგრძლივობა - 20 წუთი



1 st flash

One act ballet

Choreography by Jorma Elo

Music - Jean Sibelius Violin Concerto in D Minor
(Part 2 and 3)

Staging Ballet master - Christophe Dozzi

Costume Designers - Joke Visser, Jorma Elo

Light Design - Jordan Tuinman

Sets - Jorma Elo

Duration - 20 minutes



საიდუმლო ბალი

ერთმოქმედებიანი ბალეტი

ქორეოგრაფი - საშა ევთიმოვა
ვიდეო ანიმაცია პრედრავ მილოშევიჩის
კოსტიუმები და სცენოგრაფია საშა ევთიმოვასი
კომპოზიტორები - სებასტიან პლანო და ოლაფურ
არნალდსი

პრემიერა შედგა 2012 წლის 8 დეკემბერს
ხანგრძლივობა - 30 წუთი



The Secret Garden

One act ballet

Staging Choreographer, Costumes and Set - Sasha Evtimova

Video Animation - Predrag Milochevich

Composers - Sebastian Plano and Ólafur Arnalds

Duration - 30 minutes

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თბილისი

თეატრის შესახებ:

რუსთაველის თეატრი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ აღდგენილი პროფესიული დრამატული თეატრის მემკვიდრეა. პირველი სეზონი 1879 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა ბარბარე ჯორჯაძის კომედიით „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“.

1921 წლის 25 ნოემბერს თეატრს შოთა რუსთაველის სახელი ეწოდა. რუსთაველის თეატრის საინტერესო ისტორიას ქმნიდნენ დიდი რეჟისორები: კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, შოთა აღსაბაძე, დოდო ანთაძე, დოდო ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, არჩილ ჩხარტიშვილი, გიზო ჟორდანიას, თემურ ჩხეიძე.

რობერტ სტურუას სპექტაკლებმა - „კავკასიური ცარცის წრე“ და „რიჩარდი III“ თეატრს მსოფლიო აღიარება მოუტანა. რუსთაველის თეატრს ტრიუმფალური გასტროლები ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის – ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და შვეიცარიაში, მექსიკაში, ავსტრალიაში, ფინეთსა და ისლანდიაში. იგი ედინბურგის, ავინიონის, ათენის, ადელაიდას, რეიკიავიკის, იერუსალიმის ფესტივალების მონაწილეა.

დღეს თეატრს აქვს სამი სცენა - დიდი, მცირე და ექსპერიმენტული. თეატრი თანამშრომლობს ახალგაზრდა შემოქმედებთან, ექსპერიმენტული სცენა და სარეპეტიციო დარბაზი მთლიანად მათ ეთმობათ.

მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი - რობერტ სტურუა

საკონტაქტო პირი: ია შერაზადიშვილი,
ტელ.: +995 577 575786; +995 322 933818
ელ - ფოსტა: ia.rustavelitheatre@gmail.com;
info@rustavelitheatre.ge;
www.rustavelitheatre.ge
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. 17

SHOTA RUSTAVELI STATE DRAMA THEATRE

ABOUT THEATRE:

Internationally acclaimed Rustaveli State Drama Theater also known as Rustaveli National Theatre was founded in 1879 as an "Artists' Society." With its great artistic company and brilliant productions the theater made a name to Georgian Theatre; The performances of the theater had numerous successful tours in many countries in the world for decades. Rustaveli National Theatre is the largest classical repertory theatre in Georgia and has set benchmarks for the production of Shakespeare, Molière, also Brecht and other masters of the 20th-century. Rustaveli National Theatre is considered to be the country's main, most popular and prestigious theatrical venues, where the most prominent and talented artists and directors work.

THE MANAGING DIRECTOR OF THE THEATRE: Robert
Sturua

Contact Person :
Ia Sherazadishvili
(+995) 577 57 57 86
(+995) 32 2 93 38 18
ia.rustavelitheatre@gmail.com
info@rustavelitheatre.ge
www.rustavelitheatre.ge
Address: Rustaveli Ave. 17

სარა კეინი

ფსიქოზი 4:48

თარგმანი თამუნა ჯაფარიძისა
სცენური ვერსია რობერტ სტურუასი და ნინო კანტიძის

რეჟისორი - კიტა როყვა
მხატვარი - შოთა ბაგალიშვილი
რეჟისორის თანაშემწე - ციცილო გვაზავა
სპექტაკლში გამოყენებულია ფრაგმენტები ბრაიან ენოს, მარკუს მილერის, ჰაროლდ ბადისა და ნინა სიმონეს მუსიკალური ნაწარმოებებიდან
მონაწილეობს - ბესო ზანგური

პრემიერა შედგა 2013 წლის 10 აპრილს
ხანგრძლივობა - 60 წუთი
ერთ მოქმედებად

Sarah Kane

PSYCHOSIS 4.48

Translation by Tamuna Japaridze
Scenic version by Robert Sturua and Nino Kantidze

Directed by Kita Rokva
Designed by Shota Bagalishvili
Assistant to Director – Tsitsino Gvazava
Some pieces of Brian Eno, Marcus Miller, Harrold Budd and Nina Simone are used in the performance

Cast: Beso Zanguri
Duration - 60 minutes, no intermission



სპექტაკლის შესახებ:

„გახსოვდეს სინათლე და ენდე სინათლეს. ჭეშმარიტება სიკვდილის წინ გამოგინათებს.“ მთავარი გმირის დეპრესიის მიზეზი გაორებაა. უიმედოდ სასონარკვეთილია. ესაუბრება საკუთარ თავს, რომელიც ვერ „შეიცნო“. უყვარს მკურნალი ექიმი, მაგრამ ეს გრძნობაც მისი ფანტაზიის ნაყოფია. საყვედურობს ღმერთს, რომელმაც, მისი აზრით, ზურგი აქცია, ისევე, როგორც ყველა სხვამ. გამოგონილი „სიყვარულით“ ცდილობს ცხოვრებას აზრი შესძინოს და თავიდან აიცილოს თვითმკვლელობა. ეშინია, რადგან შესაძლოა, სიკვდილის შემდეგაც არ დასრულდეს მისი ტანჯვა.

About Performance:

“Remember the light and believe the light. An instant of clarity before eternal night.”

This, Kane's shortest and most fragmented theatrical work, has no indication as to how many actors were intended to voice the play. This time it is one actor.... Suffering from clinical depression, main hero fails to “see” his inner self. He blames God and the whole world for rejecting him. He falls in love with his doctor, but the feelings are part of his imagination only. However, maybe exactly “Imaginary love” can help him to live on and avoid suicide. He is afraid of dying as well as his constant torture might continue after his death...

სემუელ ბეკეტი

პირველი სიყვარული

სცენური ვერსია ნინო კანტიძისა და ნიკოლოზ ჰაინე-შველიძის
რეჟისორი - ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე

მხატვარი - დოდო ჩხეიძე

მუსიკალური გაფორმება ია საკანდელიძისა

ქორეოგრაფი - მარიამ ალექსიძე

რეჟისორის თანაშემწე - გრიგოლ თათეიშვილი

მონაწილეობენ:

ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ქეთი ხითირი

პრემიერა შედგა 2013 წლის 8 აპრილს

ხანგრძლივობა - 75 წუთი

ერთ მოქმედებად

Samuel Beckett

FIRST LOVE

Scenic version by Nino Kantidze and Nikoloz Heine-Shvelidze

Directed by Nikoloz Heine-Shvelidze

Designed by Dodo Chkheidze

Music by Ia Sakandzelidze

Choreographer - Mariam Aleksidze

Assistant to Director – Grigol Tateishvili

Cast:

Levan Berikashvili, Zuka Papuashvili, Keti Khitiri

Duration: 75 minutes, without intermission



სპექტაკლის შესახებ:

ღვთის მიერ ბოძებული მშობლიური სახლიდან გამოძევებული ადამიანი წვალობს, შრომობს, აქეთ-იქით აწყდება. ამდენი სატანჯველისგან ცხოვრება ერთ დიდ ტკივილად ექცა, ზოგჯერ კიდევ მოსწონს წამებულის მანტია. მაგრამ მაინც გამუდმებით ეძებს უკან დასაბრუნებელ ბილიკს, თუმცა შეუძლებელია ედემის ბაღში დაბრუნდეს იგი, ვინც დაკარგა უმთავრესი – პირველი სიყვარული.

„ვიცი, შენი საქმეები, შენი შრომა და შენი მოთმინება. . . მაგრამ შენს საწინააღმდეგოდ ისა მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული. ამიტომ გაიხსენე, საიდან დაეცი და მოინანიე, და აკეთე შენი პირვანდელი საქმეები; თუ არა და, მალე მოვალ შენთან და გადავწევ შენს სასანთლეს თავისი ადგილიდან. . .”

მოციქულ იოანეს გამოცხადება, თავი 2

About Performance:

Mankind is suffering after being banished from heaven by the Lord.. Life has become extremely painful for most, but some might enjoy the Martyr's Gown. However, people still search for the path that leads back to heaven, but it becomes impossible for those who have once lost "the first love" - the most valuable thing of all. "I know thy works, and thy toil and patience...But I have this against thee, that thou didst leave thy first love. Remember therefore whence thou art fallen and repent and do the first works; or else I come to thee, and will move thy candlestick out of its place, except thou repent..."

The Revelation to Saint John, Chapter 2

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თბილისი

თეატრის შესახებ:

„ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა - მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა.“

სწორედ ამ კონცეფციაზე დაყრდნობით, დიდმა რეჟისორმა და რეფორმატორმა კოტე მარჯანიშვილმა მეორე ქართული სახელმწიფო თეატრი შექმნა. მარჯანიშვილის თეატრს წლების მანძილზე ქმნიდნენ ცნობილი მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები, რომლებმაც მარჯანიშვილის თეატრი თბილისის კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილად აქციეს.

თეატრი დღემდე რჩება იმ ტრადიციების გამგრძელებელი, რომელიც დაარსების დღიდან გამოიკვეთა.

თეატრს აქვს 3 სცენა: დიდი სცენა, „სხვენი“ და 2013 წლიდან უკვე „ახალი სცენა“.

2006 წლიდან დღემდე მარჯანიშვილის თეატრს თანამედროვეობის გამორჩეული რეჟისორი ლევან წულაძე ხელმძღვანელობს.

თეატრი ყოველთვის კარს უღებს ნოვაციებს. სწორად ტრადიციისა და ნოვაციის შერწყმით და მაყურებელზე ორიენტირებული რეპერტუარით მან მოახერხა „საზოგადოებრივი“ თეატრის (სოციალური თეატრის) სახელის დამკვიდრება.

შეიძლება ითქვას, საკუთარ თავზე აიღო ერთგვარი განმანათლებლისა და სოციალური კომენტატორის ფუნქცია. მარჯანიშვილის თეატრის ცხოვრება მხოლოდ თეატრალური წარმოდგენებით არ შემოიფარგლება. მისი პროფილის შემადგენელი ნაწილია ახალი პიესების მოძიება, კითხვა და დადგმა.

დაარსებიდან 85 წლის შემდეგ გაზეთი გარდიანი წერს - თუ საქართველოს „სხვა თეატრების დონე ოდნავ მაინც უახლოვდება მარჯანიშვილის თეატრისას, მაშინ თეატრის კრიტიკოსის პროფესია ამ ქვეყანაში უდავოდ ყველაზე სანატრელად უნდა მივიჩნიოთ“.

„გარდიანი“

სამხატვრო ხელმძღვანელი - ლევან წულაძე
მმართველი - ეკატერინე მაზმიშვილი
საკონტაქტო პირი: ეკატერინე მაზმიშვილი
ტელ. / ფაქსი: +995 322 95 40 01;
ელ - ფოსტა: eka@marjanishvili.com
www.marjanishvili.com

მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 8

KOTE MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE

About Theatre:

"If all the theatre in Georgia comes anywhere close to the standard of the Marjanishvili company, then the job of theatre critic there must be the most covetable in the land. At the end of its irresistible As You Like It, they got a standing ovation (at least from those not on their feet already)"

THE GUARDIAN

One of the most revered theatres in Georgia, itself one of the world's great theatre cultures, the Marjanishvili, founded in 1928, appears regularly at theatre festivals all over the world with big success.

The theatre after long renovation returned to its audiences with a new artistic director, Levan Tsuladze, one of the forces behind the new generation of theatre in Georgia. Since 2006 the Marjanishvili has gone on to produce more than 50 productions, both classical and modern.

The theater has three stages already - Main Stage , Small stage "The Attic" and recently open NEW STAGE.

The "Attic" becomes a hub for new play writing with a unique project of Levan Tsuladze and Lasha Bugadze; while "NEW STAGE" or Basement, as it is commonly called - is a new necessity for development of theatre, new reality in unconventional basement. The NEW STAGE was built with an aim to cross over the classical theater frames and go beyond.

Artistic Director: Levan Tsuladze

General Manager: Ekaterina Mazmishvili

Contact Person: Ekaterina Mazmishvili (General Manager)

E-mail: eka@marjanishvili.com

Tel/fax: + 995 322 95 40 01 (secretary)

Tel: + 995 322 95 35 82 (Information Department)

Address: 8 Marjanishvili str.

WWW.MARJANISHVILI.COM



ჟორდი გალსერანი

გრონჰოლმის მეთოდი

თარგმანი თამაზ გოდერძიშვილის
რეჟისორი - თემურ ჩხეიძე
მხატვარი - გიორგი ალექსი-მესხიშვილი
რეჟისორის ასისტენტი - ნინო ჟორჯოლიანი
მონაწილეობენ:

ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალექო მახარობლიშვილი

პრემიერა შედგა 2013 წლის 9 ივნისს
ხანგრძლივობა - 150 წუთი
ორ მოქმედებად

Jordi Galseran

The Gronholm Method

Translated by Tamaz Goderdzishvili
Directed by Temur Chkheidze
Scenographer – Gogi Alexi Meskhishvili
Assistant to Director – Nino Jorjoliani
Cast:

Eka Chkheidze, Nika Tavadze, Apolon Kublashvili, Aleko Makharoblishvili

Premiered on June 9, 2013
Duration - 150 minutes, without intermission



სპექტაკლის შესახებ:

ჟორდი გალსერანის, თანამედროვე ესპანელი მწერლისა და დრამატურგის პიესა „გრონჰოლმის მეთოდი“ ინტელექტუალური ტრილერისა და ფსიქოლოგიური დეტექტივის ნაზავია.

მოქმედება ვითარდება საერთაშორისო კორპორაციის ოფისში, სადაც კომპანიის ტოპ-მენეჯერის შერჩევის ბოლო ეტაპი მიმდინარეობს. ოთხი კანდიდატი სასტიკ ბრძოლაშია ჩართული, ყოველი მათგანი მზადაა მიზნის მისაღწევად ფსიქოლოგიურად გაანადგუროს მონინააღმდეგე.

About Performance:

The play of the modern playwright Jordi Galseran “The Gronholm Method” is the mixture of the intellectual thriller and psychological detective.

The action takes place in the office of the international corporation. There is only 1 vacancy on position of the Selling Manager, and 4 candidates!

Engaged in a brutal battle, each of them is ready to psychologically destroy the enemy in order to achieve the goal.



ჟან-ბატისტ მოლიერი

ტარტიუფი

რეჟისორი და სცენოგრაფი - ლევან წულაძე
კოსტიუმების მხატვარი - ნინო სურგულაძე
ქორეოგრაფი - გია მარღანია
მუსიკალური გაფორმება ზურაბ გაგლოშვილის
მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე
დვალიშვილი, თამარ ბუნიაშვილი, ზაზა იაკაშვილი, ბესო ბარათაშვილი,
თეონა ქოქრაშვილი / ქეთა შათირიშვილი, ანა ვასაძე, გიორგი კიკნაძე,
პაატა პაპუაშვილი

პრემიერა შედგა 2013 წლის 7 ივნისს

ხანგრძლივობა - 140 წუთი

ორ მოქმედებად

Molière

Tartuffe

Directed by Levan Tsuladze

Scenic version by Levan Tsuladze

Costumes Designer – Nino Surguladze

Choreographer – Gia Marghania

Music Adapted by Zurab Gagloshvili

Cast:

Nika Kuchava, Zviad Skhirtladze. Manana Kozakova, Barbare Dvalishvili,
Tamar Bukhnikashvili,

Zaza Iakashvili, Beso Baratashvili, Teona Kokrashvili, Ana Vasadze, Giorgi
Kiknadze, Paata Papuashvili

Premiered on June 7, 2013

Duration - 140 minutes, with one intermission

სპექტაკლის შესახებ:

„...დიდხანს ვიფიქრე რითი, რომელი პიესით გამეხსნა ახალი სცენა და გადავწვიტე მოლიერის არაჩვეულებრივი პიესა „ტარტიუფი“ დამეფდა. ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილებაა. ეს კომედია იქნება დელარტესეული, მხიარული, მაგრამ ცოტა „წინაკით“.

ლევან ნულაძე

უყურო და ვერ ხედავდე...

გატყუებდნენ და შენც მადლიერი ტყუვდებოდე...

გჭეროდეს მისი და არა ჭეშმარიტების...

გჭეროდეს ნიღბების და არა სახეების...

ვერ არჩევდე სიმართლეს ფარისევლობისგან...

გინდოდეს, გმართონ... ოღონდ კი გმართონ...

მიმოიხედეთ, რამდენი ტარტიუფია ჩვენს ირგვლივ!

ტარტიუფი - სულზე და გონზე ნადირობა...



About Performance:

In one of the interviews Levan Tsuladze explained why TARTUFFE: “Molière’s “Tartuffe”... I think this is a right solution to start on a new stage - it’s a comedy, in the style of dell’arte; soft, funny but there is a harsh bitterness behind it”...

Levan Tsuladze

A completely original interpretation of Moliere’s best known comedy of deceit and hypocrisy. Levan Tsuladze’s productions are renowned for their vision and imagination, performed by the magnificent ensemble company of actors at the Marjanishvili.

Watching and not seeing

Deceived and being happy with it ...

Trust in him and not the truth ...

Trust in masks and not the faces ...

Not being able to tell truth from fraud...

Wish to be managed... to be managed only...

Look around - how many Tartuffes around us!

Tartuff - hunting party on souls and minds!

პრემიერა!

SHOWCASE PREMIERE!!!

ლაშა ბუღაძე

ნავიგატორი

რეჟისორი - ლევან წულაძე

მონაწილეობენ:

ეკა ჩხეიძე, თემიკო ჭიჭინაძე, ქეთევან ცხაკაია, გივი ჩუგუაშვილი,
ეკა მჟავანაძე, ონისე ონიანი, ბესო ბარათაშვილი, ნინო წულაძე

Lasha Bugadze

NAVIGATOR

Directed by Levan Tsuladze

Cast:

Eka Chkheidze, Temiko Chichinadze, Ketevan Tskhakaia, Givi Chuguashvili, Eka Mjavanadze, Onise Oniani, Beso Baratashvili, Nino Tsuladze



კალიფორნია

სპექტაკლის შესახებ:
ლაშა ბულაძის პიესა
– „ნავიგატორი“ –
ტრაგიკომედიაა, რომელიც
ადამიანის გაუცხოებასა
და მართობაზე
მოგვითხრობს.
რადიოპიესის ფორმით
დანერვილი დრამის
აბსურდულობამდე
მისული, ამავედროულად,
რეალური სიუჟეტი
დინამიკურად ვითარდება
და ღრმა შთაბეჭდილებას
ტოვებს მაყურებელზე.
2011 წლის შემოდგომაზე
პიესამ BBC-ისა და
ბრიტანეთის საბჭოს
თაოსნობით გამართულ
რადიოპიესების კონკურსში
გაიმარჯვა, ამავე წლის ბოლოს დაიდგა BBC-ის რადიოში და
მასში ბრიტანელმა მსახიობებმა მიიღეს მონაწილეობა.

ნავიგატორი



ABOUT PERFORMANCE:

The Play was recently awarded top prize in the BBC World Service and British Council International Radio Playwriting Competition. The competition is considered to be one of the most prestigious and significant contests in Europe. While being in such a difficult situation, the man finds that a GPRS navigation system is his only friend. The character even exchanges some conversation with the computer; between the navigator and the man a true friendship is cultivated. Some people may think about this story as a case of mental disorder, but for the hero it definitely is not so.

მარტინ მაკდონაჰი

სილამაზის დედოფალი

თარგმანი შორენა შამანაძის

რეჟისორი - გურამ ვაშაკიძე

მხატვარი - ლევან ნულაძე

კოსტიუმების მხატვარი - ლევან ჭიჭინაძე

ქორეოგრაფი - გია მარღანია

მუსიკალური გაფორმება ზურაბ გაგლოშვილის

რეჟისორის თანაშემწე - ნათელა შალიკაშვილი

მონაწილეობენ:

თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გომართელი, ირაკლი ჩოლოყაშვილი,

პაატა პაპუაშვილი

პრემიერა შედგა 2013 წლის 1 მაისს

ხანგრძლივობა - 110 წუთი, ერთ მოქმედებად

Martin McDonagh

Beauty Queen

Directed by Guram Vashakidze

Translated by Shorena Shamanadze

Sets Designer - Levan Tsuladze

Costumes Designer - Levan Chichinadze

Choreographer - Giorgi Marghania

Music Adapted by Zurab Gagloshvili

Assistant to Director - Natela Shalikhshvili

Cast: Tamar Bukhnikashvili, Nino Gomarteli, Irakli Cholokashvili,

Paata Papuashvili

Premiere Show May 1, 2013

Duration: 105 minutes, without Intermission



სპექტაკლის შესახებ:

...ფაფა, ფსელი და მკვლელობა...ერთმანეთით თავმოებზრებული დედა-შვილის თავგადასავალი და სიყმანვილეში ჩარჩენილი ირლანდიელი ვაცის ბავშვობისდროინდელი მოგონება.

სიყვარული და სიძულვილი დამსგავსებიან ერთმანეთს, ურთიერთდაკარგვის შიში ერთმანეთის მონატრებას უარესად უმძაფრებთ, სიტყვებს ავიწყებთ და შეშინებულებს გამუდმებულ ლოდინში ამყოფებს.

...ფაფა, ფსელი და მკვლელობა... გენიალური ირლანდიელის, მარტინ მაკდონაჰის ირლანდიური საგის დასაწყისს წარმოგიდგენთ სახელწოდებით „სილამაზის დედოფალი“.

ABOUT PERFORMANCE:

Porridge, urine and murder..

The adventure of mother and her daughter, bored of each other and the memories of Irish man who is stuck in his childhood. Love and hatred become alike; the fear to loose each other make them miss each other more and more.. They forget the words and wait continuously.

Porridge, urine and murder.. The very beginning of Irish Saga by great Irish writer Martin MacDonah is presented in “beautiful queen”

ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი, თბილისი

თეატრის შესახებ:

1932 წლის სექტემბერში დაარსდა თბილისის რუსული დრამატული თეატრი. 3 ნოემბერს კი თავისი პირველი სეზონი გახსნა. წარმოდგენილი იყო მაქსიმ გორკის „ფსკერზე“. 1934 წლის ოქტომბერში თეატრს მიენიჭა ალექსანდრე გრიბოედოვის სახელი. აქ მორღვანობდნენ გამოჩენილი რეჟისორები: ა. რიდალი, ა. რუბინი, ვ. ვარპოვი, ა. სმეიანოვი, ა. ავგუსტინი. 1939 წლის 5 მარტს გ. ტოვსტონოგოვმა თეატრში დადგა თავისი სადიპლომო ნამუშევარი „ვალეუმინის შვილები“. თეატრის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ისეთმა გამოჩენილმა პიროვნებებმა როგორებიც არიან: ვ. მეიერხოლდი. კ. მარჯანიშვილი, ა. პოპოვი, კ. შახ-აზიზოვი, ა. თაყაიშვილი. დ. ალექსიძე, ა. ვაჰმანი, რ. სტურუა და სხვანი.

მმართველი: ავთანდილ ვარსიმაშვილი

საკონტაქტო პირი : თორნიკე ლლონტი (კოორდინატორი)

ტელ.: +995 577 444917

www.griboedovtheatre.ge

მისამართი : თბილისი, სულხან-საბას ქ. 11

ALEXANDER GRIBOEDOV STATE RUSSIAN THEATRE, TBILISI

About Theatre:

„ტროელი ქალები“ წარმოადგენს მცდელობას, გავახმოვანოთ მიჩუმებულთა პოზიცია, ქალთა მონათხრობებით წარმოვადგინოთ პოსტსაბჭოთა საქართველოს ტრაგიკული ისტორია, სადაც პირადი ხდება პოლიტიკური. 5 ახალგაზრდა მსახიობი გაგვიძღვება მოგზაურობაში ევროპის საზღვრებზე მიკარგულ უცნობ სამყაროში.

About Performance:

The devised play is based on the construction of Euripides' iconic tragedy to narrate the story of Georgian women from 1990-ies up to present. The war experiences of these women used as verbatim material is the core of the play - vicious circle of violence against women remains unchanged through centuries - Women's needs in war time are often neglected, their complaints unheard.

The show is an attempt to give the voice to the silenced and present post-Soviet Georgian history through women's narratives, where personal becomes political.

5 young actresses offer a journey through the unknown world of wars at outskirts of Europe.



თითების თეატრი, თბილისი

თეატრის შესახებ:

1998 წელს ქ. ბათუმში, ბავშვთა ხელოვნების სტუდია „მთიებში“ (ხელმძღვანელი ნ. ნიჟარაძე) რეჟისორ ბესო კუპრეიშვილის მიერ რამდენიმე ეტიუდის წარმატების განხორციელების შემდეგ თითების თეატრის შექმნის იდეა ჩაისახა. 1991 წელს ბათუმში „მსახიობის სახლში“ შედგა მოზარდთა თეატრ-სტუდიის „99+2“ პრეზენტაცია წარმოდგენით „ექსტრავაგანსა“. სპექტაკლი წარმოდგენილი იყო კოსტუმირებული თითების საშუალებით, რამაც შთაბეჭდავი ზემოქმედება მოახდინა მაყურებელზე თავისი ორიგინალურობით, სწორედ ამიტომ თეატრი-სტუდია „თითების თეატრად“ მოინათლა და, მიუხედავად შემდგომში განხორციელებული სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების წარმოდგენებისა, დღემდე ამ სახელს ატარებს, ხოლო პირველი სპექტაკლი „ექსტრავაგანსა“ მისი სავიზიტო ბარათია. 2006 წლის 6 თებერვალი გაიმართა „თითების თეატრის“ ოფიციალური პრეზენტაცია თბილისში. 2007 წლიდან დღემდე „თითების თეატრი“ რეპეტიციებსა და სპექტაკლებს მართავს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში.

თეატრის ხელმძღვანელი - ბესო კუპრეიშვილი

საკონტაქტო პირი : თეონა მაღალაშვილი

ტელ. : +995 579 15 35 22;

ელ - ფოსტა: teo_teona@yahoo.com;

მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ 8.

FINGERS THEATRE

About Theatre:

Following to successful completion of several sketches by director Beso Kupreishvili in Batumi during 1988, the idea of founding the Fingers Theatre was established.

On June 7, 1991 performance "Extravagansa" was presented. Costumed fingers made an impressive influence on the spectators with its creativity. Since theatre establishment it has occupied its own place in Georgian Theatrical space.

On February 6, 2006 - the official presentation of "Fingers Theatre" took place in Tbilisi. Since 2007 till present the performances and the rehearsals of "FINGERS THEATRE" take place in "MARJANISHVILI STATE DRAMA THEATRE".

Fingers Theatre with its performances has successfully toured to many countries, such as:

Azerbaijan, Turkey, Armenia, Kazakhstan, Lithuania, Poland, Czech Republic, Iran, France, Morocco, Israel, Romania, UK, Egypt, The Netherlands, Greece, etc.

Artistic Director: Beso Kupreishvili

Contact Person: Teona Magalashvili

Tel.: +9955 79153522

E-mail: teo_teona@yahoo.com

Address: Tbilisi, Marjanishvili Str 8



კედელი

პინქ ფლოიდის მიხედვით

რეჟისორი - ბესო კუპრეიშვილი

ქორეოგრაფი - გიორგი მარღანია

მხატვარი - ვახტანგ ქორიძე

მუსიკალური გაფორმება ზურაბ გაგლოშვილის

მონაწილეობენ: ზაალ კაკაბაძე, ელენე ფირცხალავა, თეონა მალალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი

პრემიერა შედგა 2006 წელს, განახლდა 2013 წელს

ხანგრძლივობა - 50 წუთი

ერთ მოქმედებად

The Wall

After PINK FLOYD

Directed by Beso Kupreishvili

Designer – Vakhtang Koridze

Choreographer – Gia Marghania

Music Adapted by Zurab Gagloshvili

Cast: Zaal Kakabadze, Elene Pirtskhalava, Teona Magalashvili,

Giorgi Mebagishvili, Mariam Avalishvili

Premiere was held in 2006; Renewed in 2013

Duration - 50 minutes, without intermission

სპექტაკლის შესახებ:

წარმოდგენა როკ-ანსამბლ „კინქ ფლოიდის“ ცნობილი კომპოზიციის „კედლი“ ადაპტირებული ვერსიით. მუსიკის მაგიური ძალა და სპექტაკლის სიუჟეტი (სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლა) გარკვეულ ინტრიგას იწვევს მაყურებელში. ადამიანი საკუთარ პრობლემას ხედავს და იმუხტება ცხოვრების ჟინით, ბრძოლის უნარით. იგი მზადაა დაანგრიოს ყველა ბარიერი, ყველა კედელი, რომელიც ხელს უშლის სიკეთესა და სიყვარულს ამქვეყნად.

About Performance:

One of the greatest musical events of all time is brought from the stadium extravaganzas of Pink Floyd to the tiny stage of the dancing digits. This tale of love conquering all in a desperate cry for freedom has had audiences on their feet cheering from Tehran to Jerusalem, France and Czech Republic.

Beso Kupreishvili's performance has prepared small revolution and has not ruined the "Wall" of "Pink Floyd" with artistic fingers, but also shared with us anatomic mysticism. Feet, eyes, face, nose, ears "participate" in creating the rock performance as well as permanently efficient fingers. "Wall" is very strange, poetic and freezing anti-utopia, which differs same way from any other performance in our theatrical space, as experimental movie the "Wall" of Alan Parker from any other movies.



თოჯინების ოპერის თეატრი „მცირე პნკალა“, თბილისი

თოჯინების ოპერის თეატრის შექმნის იდეა წლების განმავლობაში ყალიბდებოდა „ანდლულადის ვოკალური ფონდის“ ხელმძღვანელების ნოდარ ანდლულადისა და გური ზაქარეიშვილის ერთობლივი მუშაობის ფონზე.

თოჯინების ოპერის თეატრის მიზანია შეაყვაროს საოპერო ხელოვნება უმცროსკლასელებს, ახალგაზრდა თაობას. ხელი შეუწყოს მათი გემოვნების ამაღლებასა და დახვეწას ადრეული ასაკიდან.

დღეისათვის თეატრის რეპერტუარში მხოლოდ ერთი სპექტაკლია როსინის „სევილიელი დალაქი“, თუმცა მზადების პროცესშია კიდევ რამდენიმე (დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი“, გლუკის „ორფეოსი“ და ნანყვეტები სხვადასხვა ოპერებიდან). როსინის „სევილიელი დალაქი“ 2012 წლის ნოემბრის თვიდან ჩასმულია მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში, უკვე დაახლოებით 30 სპექტაკლი ითამაშეს. 2013 წლის 9 ივნისიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისი ბანკის მხარდაჭერით თეატრი გადის საქართველოს რეგიონებში გასტროლებზე სახელწოდებით – „საზაფხულო საჩუქარი ბავშვებს“, მოიარა უკვე რუსთავის, თელავის, გურჯაანის, გორის, სურამის, ბორჯომისა და ზესტაფონის თეატრები, დაახლოებით 5000-მდე ბავშვს უფასოდ აჩვენა 21 წარმოდგენა. პროექტის ავტორების მიზანია, რაც შეიძლება მეტმა ბავშვმა ნახოს და მოისმინოს საოპერო წარმოდგენები.

მმართველი - გური ზაქარეიშვილი

საკონტაქტო პირი - გური ზაქარეიშვილი ;

ტელ.: +995 599 544344;

ელ - ფოსტა: ptskala@gmail.com

www.nodaranghuladze.ge; www.facebook.com/ptskala

მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 8.

PUPPET OPERA THEATRE “MTSIRE PTSKALA”

The idea of creating a puppet opera theatre had been forming for years in the background of “Andghuladze vocal fund” managers Nodar Andghuladze and Guri Zakareishvili joint activity.

The puppet theatre aims at raising the junior schoolchildren and young people’s aural and general culture and taste, refining it from the early age.

Today, there is just one performance in the theatre repertoire – Rossini’s “The Barber of Seville”. However, there are several more being prepared (Donizetti’s “L’elisir d’amore” (Love Nectar). Gluck’s “Orpheus”, as well as excerpts from different operas).

G. Rossini’s “The Barber of Seville” has been on Marjanishvili theatre repertoire since November 2012, and as many as 50 performances have been played. From 9 June 2013, with the support of the Georgian Ministry of Culture and Monument Protection and TBC Bank, the theatre is making a visiting tour named “Summer Present to Children”, to different regions of Georgia. Performances have already been shown to approximately 5 000 children in the towns of Rustavi, Telavi, Gurjaani, Gori, Surami, Borjomi and Zestaponi.

www.nodaranghuladze.ge

www.facebook.com/ptskala

General Manager - Guri Zakareishvili

Contact Person: Guri Zakareishvili

Tel.: +995 599 544 344

E-mail: ptskala@gmail.com



სველიელი დალაქი

ჯოაკინო როსინის მიხედვით

რეჟისორი - ბესო კუპრეიშვილი

მხატვარი - ვახტანგ ქორიძე

ქორეოგრაფი - გია მარღანია

მუსიკალური ადაპტირება გური ზაქარეიშვილის, ირაკლი თანელიშვილისა და ზურაბ გაგლოშვილის

მონაწილეობენ: მალხაზ გაბუნია, ზაალ კაკაბაძე, ელენე ფირცხალავა, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი

პრემიერა შედგა 2012 წლის 1 დეკემბერს

ხანგრძლივობა - 50 წუთი

ერთ მოქმედებად

Gioachino Rossini

The Barber of Seville

Directed by Beso Kupreishvili

Designer - Vakhtang Koridze

Choreographer - Gia Marghania

Music Adapted by Guri Zakareishvili, Irakli Atanelishvili, Zurab Gagloshvili

Cast: Malkhaz Gavunia, Zaal Kakabadze, Elene Pirtskhalava, Teona

Magalashvili, Giorgi Mebagishvili, Mariam Avalishvili

Premiere Show December 1, 2012

Duration - 50 minutes without intermission

სპექტაკლის შესახებ:

„სევილიელი დალაქი“ საოპერო თოჯინური სპექტაკლია და განსაზღვრულია თეატრის ყველაზე პატარა მაყურებლისათვის. ეს არის არაჩვეულებრივი მუსიკის, უნიკალური შემსრულებლებისა და გასაოცარი თოჯინების სინთეზი! ასეთი საოპერო თოჯინური სპექტაკლი ბავშვებისათვის პირველად შეიქმნა საქართველოში! სევილია ესპანეთის მზიანი და მჩქეფარე მხარეა, იქ ბევრი გონებამახვილი და მოხერხებული ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის ფიგარო, პროფესიით დალაქი. ეს მოხერხებული სევილიელი დალაქი ძალიან სახალისო და რომანტიულ ისტორიას წარმოგვიდგენს, სადაც გრაფ ალმავივასა და მშვენიერ როზინას უყვართ ერთმანეთი და მიუხედავად ოჯახის წინააღმდეგობისა, ფიგაროს დახმარებით, ახალგაზრდების სიყვარული ქორწილით სრულდება...

ზღაპარში ხომ ყოველთვის სიყვარული და სიკეთე იმარჯვებს.

About Performance:

Seville is a sunny and boisterous part of Spain, with a great many witty and smart people, Figaro among them, barber by profession. This smart barber of Seville presents to us a story which is both amusing and romantic.

Young Count Almaviva is in love with beautiful Rosina. But their relationship cannot be revealed. But with the help of Figaro, their love is united.

The performance ends with the happy couple's wedding and the smart barber's victory.

In fairy tales love and kindness are always the winners.



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი, თბილისი

თეატრის შესახებ:

ილიას უნივერსიტეტის თეატრი, რომელიც 2010 წელს გაიხსნა ვაკის თეატრალური სარდაფის ბაზაზე, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პროფესიული თეატრია. თეატრის ძირითადი მისია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ცენტრის სტუდენტების პროფესიული ზრდა და ტრენინგია, თუმცა აქ ხშირად ხორციელდება სხვა პროფესიული და ახალგაზრდული თეატრალური პროექტები. სცენა მასპინძლობს ხელოვნების სხვადასხვა სფეროებისადმი მიძღვნილ მასტერკლასებს, რომელთა ფარგლებშიც გამოცდილების გასაზიარებლად მონვეულნი არიან ცნობილი პიროვნებები. თეატრის პროფესიულ წარმოდგენებში ცნობილი მსახიობების გვერდით ყოველთვის არიან დაკავებული უნივერსიტეტის სტუდენტები და კურდამთავრებულები, რაც მათი პროფესიული ზრდისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. თეატრი ანტრეპრიზის პრინციპზე მუშაობს, მას არა ჰყავს სამხატვრო ხელმძღვანელი და მუდმივმოქმედი დასი. ყოველი ახალი წარმოდგენისათვის რეჟისორისა და მსახიობების მონვევა ხელახლა ხდება სხვადასხვა თეატრებიდან.

თეატრის ხელმძღვანელი - ნატალია თვალჭრელიძე

საკონტაქტო პირები: ნატალია თვალჭრელიძე, მარადია ცაავა
ტელ.: +995 599 52 91 99; +995 599 30 17 15

ელ ფოსტა: theatre@iliauni.edu.ge;

natalia.tvalchrelidze@iliauni.edu.ge;

maradia.tsaava@iliauni.edu.ge

www.iliaunitheatre.ge

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 32

ILIA STATE UNIVERSITY THEATRE

About Theatre:

The Ilia State University Theatre, the first professional theatre in Georgian higher education setting, was opened in 2010 on the premises of once celebrated Theatre Basement in Vake.

The Theatre operates as a venture project, inviting different directors and groups of actors for its performances. Hence, it is not governed by an artistic director and has no permanent group of actors. The Theatre is always open for youth to participate in, and explore the arts. The stage hosts master classes held by distinguished representatives of various arts traditions. The theatre also supports the University Theatre Arts centre making sure that the students majoring in acting, directing and set designing get a highly professional training of stage. The Theatre does not have an artistic director and operates as a venture project.

General Manager: Natalia Tvalchrelidze

Contact Person: Natalia Tvalchrelidze +995 599 52 91 99; Maradia Tsaava: +9955 99-30-17-15

E-mail: theatre@iliauni.edu.ge

www.theatre.iliauni.edu.ge

ჟან ანუი

ევრიდიკე

ილიას სახემწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ცენტრის სადიპლომო სპექტაკლი

რეჟისორები - ოთარ ეგაძე, მილენა ეგიაზროვა

მხატვარი - გოჩა აგაშენაშვილი

ქორეოგრაფი - სოფიო გვრიტიშვილი

მუსიკალური გაფორმება ელენე ნიჟარაძის

მონაწილეობენ: ანდრია ვაჭრიძე, მერაბ ჩხეიძე, ლევან მამნიაშვილი, დავით გიგოლაშვილი, თათია გაბედავა, ანი თალაკვაძე, სალომე მიქაძე, ზურა გაბუნია, გიგა ცერცვაძე, ლაშა ამბიძე, ირაკლი მგალობლიშვილი, მილენა ეგიაზროვა, ნინო მენტეშაშვილი, გვანცა ესართია, სალომე მუმლაძე, პავლე ინასარიძე, ანა ოსეფაშვილი

პრემიერა შედგა 2012 წლის 29 დეკემბერს

ხანგრძლივობა - 140 წუთი

ორ მოქმედებად

Jean Anouilh

Eurydice

A Performance by students and alumni of Ilia State University Theatre Arts Centre

Directed by Otar Egadze, Milene Egiazarova

Designer - Gocha Agashenashvili

Choreographer - Sophie Gvritishvili

Music Adapted by Helene Nizharadze

Cast: Andrea Vachridze, Merab Chxeidze, Levan Mamniashvili, David Gigolashvili, Tatia Gabedava, Annie Talakvadze, Salome Mikadze, Giga Tsertsvadze, Lasha Ambidze, Irakli Mgaloblishvili, Milene Egiazarova, Nino Menteshashvili, Gvantsa Esartia, Salome Mumladze, Pavle Inasaridze, Annie Osepashvili

Premiere Show December 29, 2012

Duration - 140 minutes

With One Intermission



სპექტაკლის შესახებ:

ორფეოსისა და ევრიდიკეს ამბავი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ლეგენდაა სიყვარულზე. გველის ნაკბენისაგან გარდაცვლილი ევრიდიკე მომღერალმა ორფეოსმა იმ ქვეყნიდან გამოიხსნა, თუმცა ცდუნებას ვერ გაუძლო, პირობა დაარღვია და სატრფოს მანამდე შეხედა, ვიდრე ჩრდილების სამფლობელოს გაეცლებოდნენ... უან ანუის ვერსიაში ორფეოსი მოხეტიალე მევიოლინაა, ევრიდიკე - ღარიბი მსახიობების ქალიშვილი, მოქმედება კი მეოცე საუკუნის 40-იანი წლების ფრანგულ პროვინციაში ვითარდება... დანარჩენს იხილავთ სპექტაკლში, რომელსაც თქვენთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები გაითამაშებენ.

About Performance:

A story of Orpheus and Eurydice is one of the oldest legends of love. Eurydice dies instantly after stepping on a venomous snake. She is rescued from the underworld by her beloved Orpheus on a condition that he must walk in front of her and not look back until both reach the upper world. He cannot face the temptation and gazes at her... In the play by French playwright Jean Anouilh, Orpheus is a violinist at the train station; Eurydice is a daughter of poor actors. The play is set in the French province of the 40-ies... the rest will be unveiled by students and alumni of the Theatre Arts program of Ilia State University.



ფსიქოზი 4:48

რეჟისურა, მხატვრობა, ქორეოგრაფია და მუსიკალური გაფორმება
ბუბა ბასიშვილისა და გოგა ქაჩიბაიასი

მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, ეკატერინე აბშილავა

პრემიერა შედგა 2012 წლის 22 ნოემბერს
ხანგრძლივობა: 60 წუთი
ერთ მოქმედებად

4:48 Psychosis

Directors, Designers, Choreographers and Music Adaptors - Buba Basishvili,
Goga Kachibaia

Cast: Nino Lejava, Ekaterine Abshilava

Premiere Show November 22, 2012
Duration – 60 minutes
Without Intermission



სპექტაკლის შესახებ:

როდესაც საზოგადოებრივი ნორმები არ გაკმაყოფილებს, როდესაც მართო რჩები და საკუთარი გაორება თავს გახვევს იმ წესებს, რომელზეც უარი გაქვს ნათქვამი, იწყება ბრძოლა გადარჩენისათვის... კი თუ არა?!.. სიცოცხლე საზოგადოებრივ ფორმატში, თუ სიკვდილი, როგორც თავისუფლება?! კი თუ არა... კი თუ არა... კი თუ არა?!...

About Performance:

When the civil norms are unsatisfying, when you are alone and own self-duality obtrudes the rules that you have refused, you start a struggle for survival... Yes or no?! Life in the civil format or death as freedom?! Yes or no... Yes or no... Yes or no..?!

განსაკუთრებული მადლობა JTI - ს
მხარდაჭერისათვის

Special thanks to JTI for
Generous Support

კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი, თბილისი

„კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი“ თვითდაფინანსებით არსებული დამოუკიდებელი თეატრია, რომელიც 2001 წელს დააფუძნა რეჟისორმა და მსახიობმა კახა ბაკურაძემ.

„კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი“ - დრამის, მიმოდრამის, მოძრაობისა და ფიზიკური თეატრის ჟანრები, საბალეტო, საბრძოლო და საცირკო ხელოვნების, ფოლკის, თანამედროვე ცოცხალი მუსიკისა და ვიზუალური არტის სინთეზი.

„კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი“ - ტრაგიკოსები და კომიკოსები, ცოცხალი მუსიკა, ქუჩის კლოუნადა და ცეცხლოვანი ტრიუკები, მასკარადი და ილუმბია, ცეცხლი და თეატრი, ოჩოფეხები და აკრობატები, მოგზაურობა ბავშვობაში, ქუჩის მხიარული ისტორიები, ცირკი ანუ ისტორიები პლასტიკისა და ექსტრემის ენაზე, სანახაობა ღია და დახურულ სივრცეში.

„თეატრებს, სადაც მოძრაობის ენაზე ყვებიან ისტორიებს, არა აქვთ წარსული და მომავალი, რადგან ისინი, ჩვეულებრივი თეატრებისაგან განსხვავებით, მოდიდან არასდროს გადიან“.

ჟან კოკტო

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: კახა ბაკურაძე
საკონტაქტო პირი: ქეთევან ბეჟიაშვილი, ტელ.: 5 99 56 87 57
movementtheatrepr@gmail.com

“Kakha Bakuradze’s Movement Theatre”

Do not have any, theater is independent

Kakha Bakuradze’s Movement Theatre is self-financing, independent theater, founded in 2001 by director and actor Kakha Bakuradze.

Kakha Bakuradze’s Movement Theatre - Synthesis of drama, mimodrama, movement and physical theater genres, as well as ballet, martial arts and circus, folklore, contemporary live music and visual arts.

Kakha Bakuradze’s Movement Theatre - tragic and comedians, live music, street clownery and fiery tricks, masquerade and illusion, fire and theater, walking on stills, acrobats... traveling in childhood, street funny stories, circus... stories on the language of plastic and Extreme... Show staged in the open and closed spaces. Theaters, where the stories are told on the language of movement, have no past and future, as in contrast to conventional theatres they are never out of fashion.

(Jean Cocteau)

Artistic Director: Kakha Bakuradze

Contact person: Ketevan bejiashvili 5 99 56 87 57

e-mail: movementtheatrepr@gmail.com

კახა ბაკურაძე

გამ2ა

დრამატული ცირკი

რეჟისორი, კოსტიუმების მხატვარი და ქორეოგრაფი - კახა ბაკურაძე
მეორე რეჟისორი - იოსებ ბაკურაძე

მხატვარი - გიორგი ნინოშვილი

კომპოზიტორი - ალექსანდრე ნიკოლაძე

ცოცხალი მუსიკის შემსრულებელი: ალექსანდრე ნიკოლაძე, კახა გოგიძე, კახა ბაკურაძე, ლევან მიქაბერიძე

მონაწილეობენ: ეკა წილოსანი, ანა ცინცაძე, იაკობი გოგოტიშვილი, ალექსანდრე ჯაგაშვილი, გიორგი კორკოტაძე, კახა არევაძე, სოფო ურუშაძე, არჩილ მჟავია, აკაკი კიკნაძე.

ექსტრემალური ტრიუკები გიორგი კომახიძის

პრემიერა შედგება 2013 წლის 5 ოქტომბერს (ფესტივალის ფარგლებში)

ხანგრძლივობა: 60 წუთი

ერთ მოქმედებად

Kakha Bakuradze

Gamma

Dramatic Circus

Director: Kakha Bakuradze

Second Director: Joseph Bakuradze

The artist, stage: George Ninoshvili

Costume Design: Kakha Bakuradze

Choreographer: Kakha Bakuradze

Composer, or Music Arrangement: Alexander Nikoladze

Live music artists: Alexander Nikoladze, Gogidze Kakha Gogidze,

Kakha Bakuradze, Levan Mikaberidze


The Cast: Eka Tsilosani, Anna Tsintsadse, Jacob Gogotishvili, Alexander Jagashvili, George Korkotadze, Kakha Arevadze, Sopho Urushadze, Srchil Mjavia, Akaki Kiknadze.

Air Performance and extreme tricks Instructor: George Komakhidze

Premier Date: October 5, 2013 (within the festival)

Duration: 60 minutes

One-act play without a break.



სპექტაკლის შესახებ:

სპექტაკლი ბალეტის, ცეკვის, აკრობატიკის, ცირკისა და პანტომიმის ელემენტების სინთეზს წარმოადგენს.

სამყარო ერთდროულად რეალურიც არის და მოჩვენებითიც, ხელშესახებიც და წარმოსახვითიც. ჩვენი ცხოვრების ყოველი წამი ფერების, ბგერების, ემოციების, აზრების, სიტუაციების გამადიშლება, ხოლო ჩვენი მზერა, როგორც გამა სხივები, ყველაფერში გაატანს. ყველაფერი, რაც მყარია, გამჭვირვალეა. ეს არის სპექტაკლის კონცეფცია.

სპექტაკლში ცოცხალ მუსიკას ასრულებს მუსიკოსთა ჯგუფი, რომელიც თეატრის განუყოფელი ნაწილია.

About Performance:

The performance is synthesis of the elements of the ballet, dance, acrobatics, pantomime and circus. Performance is accompanied with a live music, band is an integral part of the theater.

The world is real and illusory, material and imaginary at the same time. Every second of our life may be split in scales of sounds, colors, emotions, thoughts and situations, and like gamma rays our gazes go through them. Everything that is stable occurs to be transparent. This is a performance concept.

“რკინის თეატრი” ახალ შენობაში

თეატრის შესახებ:

თეატრი, ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად, ჩამოაყალიბა რეჟისორმა დავით ანდლულაძემ. პირველი სპექტაკლი “სულ სხვა ოპერა ანუ “ცოცხების ოპერა” (ინსცენირების ავტორები დ. ანდლულაძე და თ. ჯაფარიძე), ბრეხტის პიესის “სამგროშიანი ოპერა” მოტივებზე დაიდგა 2011 წლის ოქტომბერში. სპექტაკლი წარმოადგინეს ქუჩაში, ღია ცის ქვეშ (“ნეიტრალურ მოედანზე”), თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში. “სულ სხვა ოპერა” წარმატებული ექსპერიმენტი აღმოჩნდა და დღემდე რჩება თეატრის რეპერტუარში.

წელს, 5 ოქტომბერს, 2013 წლის თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში (ფესტივალი ფეხბედნიერი აღმოჩნდა თეატრისათვის), “რკინის თეატრი” უკვე საკუთარ შენობას გახსნის მორიგი პრემიერით. წარმოდგენილი იქნება ჯორჯ ორუელის რომანის “ცხოველების ფერმა” მოტივებზე შექმნილი სპექტაკლი “ფერმა” – ჯადოსნური ამბავი. “რკინის თეატრის” დასი, ძირითადად, დავით ანდლულაძის ყოფილი მოწაფეებისაგან შედგება.

თეატრალური სპექტაკლების პარალელურად, “რკინის თეატრის” ერთ-ერთ მიმართულებას ტელეთეატრის (TT) ჩამოყალიბება ანუ ვინემატოგრაფიული ხერხებით გადაღებული, გახმოვანებული და დამონტაჟებული სპექტაკლების შექმნა წარმოადგენს.

საკონტაქტო პირები:

თეატრის მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი - დავით ანდლულაძე

ტელ.: +995 599 109 395

ელ - ფოსტა: davidandguladze@ yahoo.com

თამუნა ჯაფარიძე

ტელ.: +995 593 180 593

ელ - ფოსტა: tamuna@britishconnection.ge

მისამართი: ბუდაპეშტის ქ. # 1

ფაცებოოვ: Rkinis Teatri

“Iron Theatre” in a new building

About Theatre:

The Theatre was established by the theatre director David Andguladze and a group of young actors. Their first production – Another Opera or The Broom Opera, after Bertold Brecht’s Three penny Opera (new version by D. Andguladze and T. Japaridze) – was shown in October, 2011, at the Tbilisi International Theatre Festival. It was staged in the “neutral space” under the open air.

This year, on the 5th of October, the “Iron Theatre” will open its new building with a premiere in the frame of the Tbilisi International Theatre Festival 2013. The new production is staged after George Orwell’s Animal Farm.

Besides the stage productions, the “Iron Theatre” aims at establishing a new brand of TV performances, so-called TV Theatre (TT), which will shoot the stage performances using the cinematographic means and devices.

The cast of the “Iron Theatre” mainly consists of David Andguladze’s former students, but for some productions the theatre invites the guest performers as well. For instance, when the theatre shot a TT version of “Antigone”, there were invited Zura Kipshidze, Rusudan Kobiashvili and Revaz Tavartkiladze – the performers from different other theatres.

Contact The Manager of the theatre and the Director-in-Chief – David Andguladze

Tel.: +995 599 109 395

e-mail: davidandguladze@ yahoo.com

Tamuna Japaridze

tel.: +995 593 180 593

E-mail: tamuna@britishconnection.ge.

Address: N 1 Budapest Street

Facebook: Rkinis Teatri



ფერმა (ჯადოსნური ამბავი)

ჯორჯ ორუელის "ცხოველების ფერმის" მოტივებზე

ინსცენირების ავტორები - დავით ანდლულაძე, თამარ ჯაფარიძე
მხატვარი - აივენგო ჭელიძე
კოსტუმების მხატვარი - ევა მაღალაშვილი
მუსიკალური გაფორმება დავით ანდლულაძის
მსახიობები: გოგიტა ტრაპაიძე, ზაზა თაგოშვილი, კახა ნოზაძე,
ნოდარ სიმსივე, ანა ყაულაშვილი და ა.შ.

პრემიერა შედგა 2013 წლის 5 ოქტომბერს
ხანგრძლივობა: 90 წთ (ერთ მოქმედებად)

Farm (a magic story)

After George Orwell's novel "Animal Farm"

Stage version by David Andguladze and Tamar Japaridze
Directed by David Andguladze
Setting designer - Aivengo Chelidze
Costume Designer - Eka Magalashvili
Musical soundtrack designer - David Andguladze
Cast: Gogita Trapaidze, ZaZa Tagoshvili, Kakha Nozadze, Nodar
Simsive, Anna Kaulashvili etc.

Georgian Showcase Premier show
Duration - 90 minutes, without intermission

სპექტაკლის შესახებ:

ჯორჯ ორუელის "ცხოველების ფერმა" ინგლისში 1945 წლის აგვისტოში გამოიცა; სწორედ მაშინ, როდესაც ამერიკელებმა ატომური ბომბი ჩამოაგდეს იაპონიის ორ ქალაქში. კრიტიკულ ლიტერატურაში ამ ნაწარმოების გამოცემა და მსოფლიო ომის ეს ტრაგიკული ეპიზოდი 1945 წლის აგვისტოს ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენადაა აღიარებული. ეს ფაქტი, თავის მხრივ, მეტყველებს ორუელის ამ ნაწარმოების საგანგებო მნიშვნელობაზე ცივილიზებული სამყაროს კულტურულ ცხოვრებაში. "რკინის თეატრის" უჩვეულო თეატრალური სივრცე, სადაც მსახიობებს პირველად მოუწევთ ამ "ჯადოსნური ამბის" მაყურებლის წინაშე გათამაშება, განუსაზღვრელ საშუალებებს იძლევა ფანტაზიის გაშლისათვის, ხოლო ლიტერატურული პირველწყაროს ბრწყინვალედ შეთხზული პერსონაჟები, მუსიკალური (ხმოვანი) და ქორეოგრაფიული იმპროვიზაციის იდეალურ ნიადაგს წარმოადგენენ.

ნაწარმოების ოსტატურად აგებული სიუჟეტური ხაზი (რომელიც სპექტაკლში ოდნავ მოდიფიცირებულია), მისი მარადიული თემა, რომელიც დღემდე აქტუალური რჩება, ნაწარმოების გარდაუვალი თეატრალური ინტერპრეტირების აუცილებლობას ქმნის. იმედია, "რკინის თეატრის" ეს ახალი სპექტაკლი ისეთივე მნიშვნელოვანი და "ფეთქებადი" აღმოჩნდება (ამ სიტყვის თეატრალური გაგებით), როგორც, თავის დროზე, აგვისტოს ის ორი მოვლენა იყო.

About Performance:

"Animal Farm" was published in England in the August of 1945. This was the time when Americans bombed two Japanese cities. In the literary criticism these two events – publishing Orwell's novel and bombing the Japanese cities – are considered to be the most important happenings of the time. The extraordinary space of the "Iron Theatre", where the first night show of this "magic story" will be performed, and the extraordinary characters of the novel, give boundless opportunities to the imagination of the creative group, and for free musical and choreographic interpretations. The masterfully developing plot (though it is pretty modified in the performance) and the problem described, which is challenging even today, makes it inevitable to modify the novel for the theatrical show. We hope that the first night performance given by the "Iron Theatre" is going to be as impressive and "explosive" as those two events that took place in the August of 1945.

არასამთავრობო კავშირი “მეთოჯინეთა კლუბი”

არასამთავრობო კავშირი „მეთოჯინეთა კლუბი“ დაფუძნებულია 1999 წელს. დადგმული აქვს 3 დიდი მარიონეტული წარმოდგენა – „მუუ...“, ანტიკორუფციული სპექტაკლი „ზენოლა“ და ეკოლოგიურ თემაზე შექმნილი „ტყუილ-მართალი“. ვთანამშრომლობდით ტელეკომპანია მე-9 არხთან (მარიონეტული სერიალი „ყოჩაღები“). დევნილთა დასახლებებში, ხურვალეთსა და შავშევებში, განვახორციელეთ საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროექტები. შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ვაჩვენოთ სპექტაკლები საქართველოს რეგიონებში, რომლებიც სრულიად მოკლებულნი არიან კულტურულ ღონისძიებებს.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი - ზურაბ ქიქოძე
საკონტაქტო პირი: ზურაბ ქიქოძე
ტელ.: +995 599 449304
ელ - ფოსტა: zkikodze@yahoo.com
www.puppetersclub.ge

NONGOVERNMENTAL UNION “PUPPETEERS CLUB”

Nongovernmental Union “Puppeteers Club” is established in 1999, we staged 3 great puppet performances, “Muu” – anti-corruption performance “Pressure” and performance on ecological theme “Lie & Truth”, also cooperated with TV Company the 9th channel. puppet serial “Fine Fellows”, have executed educational and creative projects at refugees’ settlements, in “Khurvaleti” and “Shavshvebi”, as much as it is possible we try to travel in various regions of Georgia by staging our performances, who completely lack any cultural events.

www.puppetersclub.ge

Contact person: Zurab Kikodze

Tel.: 599 449304;

Email: zkikodze@yahoo.com

ზურაბ ქიქოძე, გაგა ნახუცრიშვილი

მუე ...

რეჟისორი - ზურაბ ქიქოძე

მხატვარი - ბაია მაჭავარიანი

მუსიკალური გაფორმება ია საკანდელიძის

მრიონეტების მხატვრები - თენგიზ მიზაშვილი, ირმა ქააძე, ბენო ჯიჯიაშვილი, როლანდ ჩატვინი

მარიონეტები შექმნეს ირმა ქააძემ, მანანა აბზიანიძემ და ბენო ჯიჯიაშვილმა ხმის რეჟისორები - ვახტანგ ბაბუნაშვილი, გია ქარჩხაძე

ახმოვანებენ: მედეა ჯაფარიძე, ნანა ფაჩუაშვილი, რუსიკო ბოლქვაძე, ქეთი ცხაკაია, ნატო გულისაშვილი, მერი მიქელაძე, ლენა ოლეინიკ-აბულაძე, ვახი კავსაძე, გოგი გეგეჭკორი, მიშა ჯოჯუა, გია აბესალაშვილი, გიორგი გურგულია, თენგიზ მირზაშვილი, თედ ჯონასი, ბესო ბერულაშვილი, დავით სოკოლოვი, იასონ ბადრიძე.

მეთოჯინე მსახიობები: მანანა აბზიანიძე, მანანა ბუზალაძე, ნინო ნამიჭეიშვილი, მაია სულხანიშვილი, ბაია მაჭავარიანი, ბენო ჯიჯიაშვილი, ირაკლი მეტრეველი, ომარ გაიდაროვი, ზურაბ ქიქოძე.

პრემიერა შედგა 1999 წელს

ხანგრძლივობა - 70 წუთი

ერთ მოქმედებად

Zurab Kikodze, Gaga Nakhutsvrishvili

Muu..

Directed by Zurab Kikodze

Designer - Baia Machavariani

Music Adapted by ia Sakandelidze

Cast:

Sounding: Medea Djaparidze, Nana Pachuashvili, Rusiko Bolkvadze, Qeti Tshakaia, Nato GulisaSvili, Meri Mikeladze, Lena Oleinik-Abuladze, Kahi Kavsadze, Gogi Gegechkori, Misha Jojua, Gi Abesalashvili, Giorgi Gurgulia, Tengiz Mirzashvili, Ted Jonas, Beso Berulashvili, Devid Sokolovi, Jayson Badridze.

Performance of marionettes: Irma Kaadze, Manana Abzianidze, Beno Jijiasvili

Sound direction: Vakhtang Babunashvili, Gia Karchkhadze

Puppeteers: Manana Abzianidze, Manana Buzaladze, Nino Namicheishvili, Maia Sul Khanishvili, Baia Machavariani, Beno Jijiasvili, Irakli Metreveli, Omar Gaidarovi

Premiere was held in 1999, renewed in 2013

Duration - 70 minutes, without intermission



სპექტაკლის შესახებ:

ქართველი ძროხები გაუსაძლისი ცხოვრების გამო გარბიან უცხოეთში, ამაში მათ ეხმარება მგელი იასონი, რომელიც ერთ-ერთ ძროხაში, კერძოდ კი ქეთათოშია შეყვარებული. ასე აღმოჩნდება ისინი შვეიცარიაში, აქ ისინი შეხვდებიან მსუქან, შვეიცარიელ ძროხა ვიოლას და ბულა გოდფრიდს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ აქაც აუარება პრობლემა და სირთულეა, ამიტომაც უცხო პლანეტაზე სირიუსზე მიფრინავენ, სადაც მხოლოდ ყვავილები და მწვანე ბალახია, შეყვარებული იასონი კი რჩება და მათ სევდიანი ყმულით აცილებს.

About Performance:

Georgian cows run to foreign country due to unendurable life, the wolf "Jason" helps them in this action, who is in love with one of the cows, namely with "Ketato". Thus, they will be in Switzerland, here they will meet stout Swiss cow "Viola" and bull "Godfrid", but it will be revealed that here are also lots of problems and difficulties, that is why they fly to foreign planet "Sirius", where are only flowers and green grass, "Jason" being in love stays there and sees them off with sorrowful howling.



დამოუკიდებელი პროექტი

თამარ ბართაია

სათამაშო პისტოლეთი

რეჟისორი - გიორგი შალუტაშვილი

მხატვარი - მირიან შველიძე

კომპოზიტორი - ლექსო ტურიაშვილი

მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე

პრემიერა შედგა 2013 წლის 8 თებერვალს

ხანგრძლივობა - 75 წუთი

ერთ მოქმედებად

INDEPENDENT PROJECT

Tamar Bartaia

“The Toy Gun”

Directed by George Shalutashvili

Designer - Shvelidze

Composer - Lexo Turiashvili

Cast: Ani Aladashvili, Georgia Abashidze,

Duration- 75 minutes, without intermission

Premiere Show February 8, 2013

სპექტაკლის შესახებ:

ახალგაზრდობაში მომხდარი ინციდენტი მთლიანად ცვლის ორი ადამიანის ბედს. თითქმის ნახევარი სუკუნის მანძილზე მივყვებით მათ ცხოვრებას. ორი შემოქმედის, ორი ვარსკვლავის განვლილი გზა ახალგაზრდობიდან სიბერემდე გარკვეულწილად მათი ქვეყნის უმძიმესი ისტორიაც არის, რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული ისტორია. ამ ორომეტრიალში ბოლომდე ჩაფლულა მსახობი კაცი, ემიგრანტის ნოსტალგიას შეუპყრია ქალი - მეცო-სოპრანო. შიგნიდან და გარედან დანახული სამშობლო, თავისი ტკივილით, სიხარულით და ანომალიებით. . . გადაფასებული განვლილი გზა და გადაფასებული ღირებულებები. . . დიდი სიყვარულის არშემდგარი ისტორია, რომელიც ორივესთვის მთავარ მამოძრავებელი ძალად იქცა. მათი ცხოვრების გზები მცირე ხნით, სულ რამდენჯერმე გადაიკვეთა. სულიერ კავშირს კი დრო და სივრცე არ გააჩნია.

About Performance:

The incident, taken place in the youth, thoroughly changes the fate of two people. For nearly half of a century we follow their parallel life stories - the life path gone through by the two creators, two stars – from the young years to the old age that also partially represents the severe history of their country based on real facts. An actor and a woman - mezzo-soprano with emigrant nostalgia are entirely plunged into this turmoil. The motherland seen from the inside and outside with its pain, joy and anomalies; reappraised life path and reappraised values. The story of unfulfilled deep affection that has become the main motive force for both of them; in real life their paths have intercrossed only briefly, a few times. However, spiritual bonds between them do not have any time or space.

ალექსანდრე წუნუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ოზურგეთი

თეატრის შესახებ:

თეატრის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1868 წელი, როდესაც ოზურგეთში გაიმართა სცენისმოყვარულთა წრის პირველი წარმოდგენა.

1895 წელს სცენისმოყვარულთა წრეს სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე წუნუნავა, შემდგომში ქართული კინოს ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1902 წლიდან დასი ისე გაძლიერდა, რომ გასტროლებსაც მართავდა სხვა ქალაქებში.

1914 წელს ოზურგეთში ააგეს კინოთეატრის შენობა. ეს იყო

ელექტროენერგიით განათებული პირველი შენობა ოზურგეთში, რომელიც 1 ივნისის საზეიმოდ გაიხსნა. წარმოადგინეს ა. სუხოვო-ვობლინის „კრეჩინსკის ქორწინება“, დადგმის რეჟისორი ალექსანდრე წუნუნავა იყო.

მას შემდეგ თეატრმა მრავალი შემოქმედებითი წარმატება იხიმა, მისი ოქროს ხანა იყო მე-20 საუკუნის 60-80-იანი წლები, უძიმესი პერიოდი კი 90-იან წლებში დაუდგა.

2005 წელს კულტურის სამინისტრომ და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირმა საუკეთესო რეგიონული თეატრად აღიარეს.

2009 წელს ოზურგეთის თეატრმა თურქეთში ბულანჯაკის საერთაშორისო ფესტივალზე წარმოადგინა სპექტაკლი „ბუტიაობა“ (რეჟისორი _ შ.

ბაბილოძე) და დაჯილდოვდა ფესტივალის დიპლომით. 2010 წლიდან თბილისის საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეა.

2013 წელს ოზურგეთის თეატრი 145 წლის ხდება.

ოზურგეთის ალ. წუნუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი წელიწადში საშუალოდ უშვებს სამ-ოთხ პრემიერას.

რეპერტუარშია ქართველი და უცხოელი ავტორების რეზონანსული პიესების/ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლები.

მმართველი - ზაზა ჭინჭარაძე

სამხატვრო ხელმძღვანელი - ოთარ კუტალაძე

საკონტაქტო პირები: ლია კილაძე - სამოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი; ტელ.: + 995 551 51 41 44; + 995 322 27 33 73

ელ - ფოსტა: liakila8@gmail.com

მისამართი : ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. 1

OZURGETI ALEXSANDRE TSUTSU- NAVA STATE DRAMA THEATRE

About Theatre:

The theatre saw its beginnings in 1868 with the first amateur performance in Ozurgeti. In subsequent years, the amateurs were guided by Alexandre Tsutsunava and Vasil Urushadze- stage directors. The building of theatre was built in 1914.

Since than Ozurgeti Drama Theatre is a place for many notable actors, directors, conductors and artists. In 1968 the theatre was given Alexandre Tsutsunava's name. In 2005 it was named Best Regional Theatre by the Ministry of Culture and the Theatre Actors' Union.

Contact Person : Lia Kiladze (PR Manager)

Mob. : +9955 98 290 400

Tel.: +995 322 27 33 73

E-mail : liakila8@gmail.com

Address: Ozurgeti, Chavchavadze str. #1

Artistic Director: Otar Kutaladze

General Manager: Zaza Chinchardze

ოთარ ბაღათურია

მეფე ლირი თავშესაფარში

რეჟისორი - ოთარ კუტალაძე
მხატვარი - ლომგულ მურუსიძე
მუსიკალური გაფორმებ თენგიზ შამილაძის

მონაწილეობენ: ბელა კიკვაძე, თემურ კვირკველია, ივანე ჩხაიძე, გენადი ნიკოლაიშვილი, ლია მარტიაშვილი, მარგარიტა ავაქიანი, ნელი ბასილაშვილი,

ვალერიან კანთელაძე, ნუგზარ ბარამიძე, ალექსანდრე ლომიძე, ომარ ურუშაძე,

ზაირა თოთიბაძე, შორენა გვეტაძე, იური ჭიჭიეშვილი, ნინო ჯუღელი, ზაზა ჯინჭარაძე, ვერიკო ხუხუნიაშვილი, თამარ მდინარაძე, ვახტანგ ჩხარტიშვილი, თეა კეჭაყმაძე, გიორგი დოლიძე, ქეთევან ცეცხლაძე, შოთა გოგიტიძე, ირაკლი ვადაჭკორია, თეა ჭიჭიეშვილი

პრემიერა შედგა 2013 წლის 22 მაისი
ხანგრძლივობა - 90 წუთი
ერთ მოქმედებად

Otar Baghaturia

King Lear in the Shelter

Directed by Otar Kutaladze
Editor - Otar Kutaladze
Painter - Lomgul Murusidze
Musical design - Tengiz Shamiladze

Cast: Bela Kikvadze, Temur Kvirkvelia, Temur Kvirkvelia, Ivane Chkhaidze, Genadi Nikolaishvili, Lia Martiashvili, Margarita Avakiani, Neli Basilashvili; Valerian Kanteladze, Nugzar Baramidze, Aleksandre Lomidze, Omar Urushadze, Zaira Totibadze, Shorena Gvetadze; Iuri Jijieshvili, Nino Jugeli, Zaza Jincharadze, Veriko Khukhunaishvili, Tamar Mdinardze, Vakhtang Chkhartishvili, Tea Kechakmadze, Giorgi Dolidze, Ketevan Tsetskhladze, Shota Gogitidze, Ivane Chkhaidze, Veriko Khukhunaishvili, Irakli Vadachkoria, Tea Jijieshvili

Premiere Show May 22, 2013
Duration: 90 minutes, Without Intermission



სპექტაკლის შესახებ:

მოქმედება მიმდინარეობს მოხუცთა თავშესაფრის ნაცრისფერ გარემოში, აქ ყურადღებას იქცევს მთავარი გმირი - დოდო, ყოფილი მსახიობი, ქმრისა და შვილებისაგან მიტოვებული ქალი. დოდო თავშესაფარში „მეფე ლირს“ დგამს. ბედის ირონიით, აქვე მოხდება მისი ყოფილი ქმარი, წარსულში ცნობილი მსახიობი და ახალგაზრდობაში „ქალების გულთა მპყრობელი“ სანდრო. დოდოს გარშემო ერთიანდებიან თავშესაფრის ბინადარი, ადამიანები, რომლებსაც ახლობლებმა გული ატკინეს, რომლებიც მიატოვეს. დოდოს „მეფე ლირის“ გარდა, მათ ახალი განსაცდელიც აერთიანებთ: თავშესაფრის გაუქმების მოლოდინი. ასეთ რთულ ვითარებაში დოდო გადამწყვეტ სიტყვას ამბობს. თავშესაფარში „მეფე ლირის“ რეპეტიციები გრძელდება...

About Performance:

The acting is going in grey environment of shelter of eldest people, where Main character Dodo is special, she is an actress, deserted by the husband and children. Dodo prepares the performance "King Lyre" at the shelter. Through irony of fate, here will come her ex-husband –Sandro, well-known actor in the past and lord of women hearts" in the youth.

Those lodgers of the shelter, who have no rest from pain of their heats and lack of those people, with whom there were rejected, are unifying around Dodo. Except of Dodo`s "King Lear", they are united with one common danger: the expectation for the abolition of shelter In such situation, Dodo says a final work for the saving of Shelter. The repetitions of "King Lear" continue

ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი, ფოთი

თეატრის შესახებ:

პირველი თეატრალური წარმოდგენები ფოთში 1882 წელს გაიმართა. ინიციატორი იყო სასულიერო პირი, მღვდელი კირილე მაჭარაშვილი. თეატრი სწორედ ამ დროიდან ფუნქციონირებს. 1919 წელს შეიქმნა პროფესიული დასი, რომელიც მოწოდებული იყო დაეწყო სრულიად ახალი შემოქმედებითი ცხოვრება ფოთის თეატრის ისტორიაში. ოფიციალურად ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრი გაიხსნა 1925 წლის ოქტომბერში. იმ დროს მას სათავეში ედგა განთქმული თეატრალური მოღვაწე იუზა ზარდალიშვილი.

2008 წლიდან ფოთის თეატრი ევროპის რეგიონალური თეატრების ქსელის (IETM) წევრია.

ამჟამად თეატრისათვის შენდება ახალ შენობას, რომელიც გაიხსნება 2013 წელს, რამოდენიმე სცენით. თეატრი საერთაშორისო ფესტივალების ხშირი სტუმარია.

მმართველი - თენგიზ ხუხია

საკონტაქტო პირი: თენგიზ ხუხია

ტელ.: +995 593 36 01 37; +995 493 22 15 14

ელ - ფოსტა: tkhukhia@yandex.ru; indi.sidorenko@gmail.com

მისამართი: ფოთი , რუსთველის ქ. 10

POTI VALERIAN GUNIA STATE DRAMA THEATRE

About Theatre:

